საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 5 07/03/2016

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცებისა და შეფასების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის "88–ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განხილულ იქნა რა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი ანგარიში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა

მუხლი 1. საქართველოს კანონის ,, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის "88–ე

მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს თვითმმართველი

ერთეულის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

მუხლი 2. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამგეობის მიერ გაწეული მუშაობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების საქმეში შეფასდეს დადებითად.

მუხლი 3.განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180–ე მუხლით

დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე